F75w864

წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თფილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 9 მარტი, 1921 წ.

№ 7 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თფილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 7

საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია კრუზენშტეინის ქუჩაზე № 3. ტელეფონი №№ 14—76; 7—41. ც. კ. წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს საჩქაროთ აცნობონ მას თავიანთი მისამართი და ტელეფონის №№.

საქართველოს რევკომის პროტესტი

რევოლიუციონურმა კომიტეტმა მიმართა მთელ ქვეყნიერებას შემდეგი რადიო-ტელეგრამით:

„ყველას, ყველას, ყველას! საქართველოს მშრომელ მასის ძლევამოსილ აჯანყებას შედეგად მოჰყვა ის, რომ საქართველო გახდა რეალურად დამოუკიდებელი და თავისუფალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. საბჭოთა საქართველოს სათავეში მდგომი მუშათა და გლეხთა მთავრობამ, რევოლიუციონურ კომიტეტის სახით, ჩამოგდებულ მენშევიკთა მთავრობასთან ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ბრძოლის დროს, აღიარა საქვეყნოდ მშრომელთა მთელი ძალა-უფლება და ხალხთა უფლება სრული თვითგამორკვევისა. მაგრამ ამ მომენტში, როდესაც შინაური რევოლიუციონური გადატრიალება დასასრულს უახლოვდება და საბჭოთა ძალა-უფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მტკიცდება, ამ დროს ბალშევიკების საწინააღმდეგო ძალები იჩენენ აქტიურად მტრულ განზრახვებს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქართველოს ნავთ-სადგური ბათუმი გახდა საგნად არა მარტო ინტრიგებისა, არამედ პირდაპირ დაპყრობითი სურვილებისა, განსაკუთრებით ანტანტის მთავრობათა მხრივ. ბათუმის დაჭერა და ვერაფრით გაუმართლებელი თავდასხმა დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველოზე ალბად დასაბუთებულ იქნება ვითომდა აჭარის ხალხის თვითგამორკვევის პრინციპით. საქართველოს დამოუკიდებელი საბჭოთა რევოლიუციონური რესპუბლიკა აცხადებს, რომ თავისუფალი თვითგამორკვევა ხალხთა საზოგადოდ და, კერძოთ მოძმე აჭარის ხალხისა, ისეთი პრინციპია ჩვენთვის, რომელიც მოითხოვს დაუყონებლივ რეალიზაციას. მაგრამ მთავრობა არ შეურიგდება იმას, რომ ეს დიდი პრინციპი, ოქტომბრის დიდ რევოლიუციის მიერ წამოყენებული და ხორცშესხმული, ვისმეს გან გამოყენებულ იქმნას რეაქციის იარაღად, აჭარისა და საქართველოს მშრომელ მასების ინტერესების წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ — კატეგორიულ პროტესტს ბათუმის დაჭერის განზრახვისა ან ოკუპაციის წინააღმდეგ, ვისგანაც არ უნდა იყოს ეს განზრახული. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი საქართველოს მუშათა და გლეხთა სრული თანხმობით ყველასათვის გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ყოველივე ძალა, რომელიც ბათუმს თავს დაესხმის, ჩვენის მხრივ ჰპოვებს მედგარ წინააღმდეგობას და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვის სამართლიან ბრძოლაში, როგორც მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების, აგრეთვე ყველა ქვეყნების მშრომელთა თანაგრძნობა და დახმარება ჩვენს მხარეს იქნება.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი საქართ. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა—მ. ორახელაშვილი.

ექს-მინისტრები მუშაობას განაგრძობენ

ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ესა თუ ის მოქმედება შესაძლოა გამართლებულ იქნას,—სხვა და სხვა თვალსაზრისით, რასაკვირველია,—თუ კი იგი დასახულ მიზნის განხორციელების რაიმე იმედს მაინც იძლევა. მაგრამ, როდესაც ყველასათვის და თვით მათთვისაც, ვინც მეთაურია ამა თუ იმ მოქმედების, ნათელია და უეჭვო, რომ ეს მოქმედება დასახულ მიზანს ვერ განახორციელებს, რომ ეს იქნება უბრალო ენერგიის ფლანგვა—მაშინ ასეთი ჯიუტობა უაზრობაა, მისი გამართლება არ შეიძლება; და თუ კი ეს მოქმედება, უაზროთ ენერგიის ხარჯვა, დაკავშირებულია ომის გაგრძელებასთან, ადამიანთა სისხლის ღვრასთან—მაშინ ეს უაზრობა, საშინელი, მიუტევებელი დანაშაულია. მისი ჩამდენლები კი კაცობრიობის ისტორიის წინაშე სასტიკ პასუხს აგებენ, როგორც ადამიანის ყველაზედ უფრო ძვირფას განძის—სიცოცხლის ჯალათები. ასეთი ჯალათების როლში გამოდიან დღეს საქართველოს ექს-მინისტრები. ჩვენ ახლა აქ არაფერს ვიტყვით მათი წარსულის შესახებ, არც იმაზე, თუ რა ღირებულებისაა საქართველოს მშრომელთათვის ის მიზნები, რომლისათვისაც მათ მოდენი უბედურება მიაყენეს საქართველოს მუშებს და გლეხებს, რომლისათვისაც დღესაც ისინი განაგრძობენ უაზრო სისხლის ღვრას, ხოცვა-ჟლეტას. ვიტყვით მხოლოდ იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია, შექმნილ პირობებში, მათი მიზნების, თუ მიზანის—საქართველოში მენშევიკური ბატონობის განახლების—განხორციელება. განა დღეს ყველასათვის და, ყველაზედ უფრო კი, თვით მათთვის—მენშევიკების მეთაურთათვის — ნათელი და უდავო არ არის, რომ რაც იყო ის აღარ იქნება, რომ მათი დამარცხებამ ისტორიული აუცილებლობის ხასიათი მიიღო? განა ჟორდანიას ყოფილი მთავრობა ვერ ხედავს იმას, თუ რა ძალებია მის გვერდით ჩვენს წინააღმდეგ? განა მან მშვენივრად არ იცის, რომ ანტანტის იმპერიალიზმი მას რეალურ ძალებს ვერ დაახმარს? რასაკვირველია ეს მათ—მენშევიკების მეთაურებმა—ძალიან კარგათ იციან., მაგრამ სისხლის ღვრას მაინც განაგრძობენ, საქართველოს მშრომელთა სიმდიდრის განადგურებაზე მაინც არ იღებენ ხელს; ბატონობის დაკარგვას ვერ ურიგდებიან და ჭკუაზედ შეშლილებივით, სხვა სიტყვა ვერ მოგვინახავს, ყოველივე ღირებულებას—ადამიანის სიცოცხლიდან დაწყებული—ტელეფონის აპარატამდის —თავისი ბატონობას ანაცვალებენ, მსხვერპლად სწირავენ. ისტორიაში დარჩენილა ერთი მეფის ცინიკური სიტყვები: „ჩემს მერე, თუ გინდ წარღვნაო". როგორც ეტყობა ჩვენს ყოფილ მინისტრებს ზედმიწევნით შეუთვისებიათ ეს სიტყვები და დღეს მას პრაქტიკაშიაც ახორციელებენ. თავის-თავად ცხადია, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი მენშევიკების მიერ მიყენებულ წყლულებს, რა ღრმა და მწარეც არ უნდა იყვნენ ისინი—ადვილად და ადრიანად მოიშუშებს. მაგრამ მათი სახელი და ხსენება კი, რომლებმაც მათ ეს წყლულები სულ უაზროთ, მხოლოდ გაბოროტებული, გაჯიუტებული გულის ჩვენებით, მიაყენეს—შავი, სამარცხვინო ასოებით აღიბეჭდება ქართველ მშრომელთა გულის ფიცარზე. სურამში მხეცურად დახვრეტილ ქართველ ჯარისკაცების სისხლი კიდევ ერთი მძიმე საბუთი იქნება მენშევიკების წინაშე წასაყენებ საბრალდებულო ოქმში.

სახელოვანი წითელი არმია და მოთმინებიდან გამოსული ქართველი მშრომელი ხალხი კი მალე საზღვარს დაუდებენ გაბოროტებულ ექს-მინისტრების მიერ საქართველოს მშრომელთა შვილების სისხლის ღვრას და მუშების და გლეხების მიერ შექმნილ სიმდიდრის განადგურებას, აფორიაქებას.

საბჭოთა ძალა-უფლების სოციალური ბაზა საქართველოში.

ერთ წერილში, ახალი ვითარების შესახებ საქართველოში („კომუნისტი" № 1), მე გაკვრით აღვნიშნე ის გარემოება, რომ რუსეთის და, განსაკუთრებით, ჩვენებურმა მენშევიკებმა, კაპიტალიზმის დაცემის ხანაში, ბურჟუაზიული კულტურის საერთო დეკადანსის დროს, უმაგალითო ომის მიერ ნაანდერძევ მწვავე ეკონომიურ კრიზისის პირობებში—მიმდინარე რევოლიუციის დაფაცუბაში, ვერ შესძლეს გასცილებოდნენ იმ შეხედულებას რევოლიუციაზე, რომელიც შემუშავდა სოციალისტებში წარსული საუკუნის მეორმოცე მეორმოცდაათე წლებში. მათ შორის ზოგიერთ მოწინავე ელემენტებმა, მათმა პოლიტიკურმა სიბრძნემ ძლივს მიაღწია მათთვის შესაძლებელ აზროვნების იმ მწვერვალს, იმ შეხედულებას, რომ ახალი დროის რევოლიუციები და კერძოთ რუსეთის, არ შეიძლება იყონ უბრალო განმეორება წარსულის, რომ მოხდარმა ძველი და ახალი ეპოქის საზღვარზე, ახალ სოციალურ პირობებში, მათ უნდა განიცადონ მძლავრი გავლენა რიცხვითა და შეგნებით გაზრდილ პროლეტარიატის, მათი დავაჟკაცებულ პროფესიონალურ ორგანიზაციების და პოლიტიკურ პარტიების. საკითხი იმის შესახებ, რომ ეს რევოლიუციები ობიექტიურათ უნდა გასცილდნენ ეგრედ წოდებულ დემოკრატიულ და ტრადიციულ რეფორმატორულ ფარგლებს კერძო საკუთრების ინსტიტუტის რევოლიუციონურათ გაუქმების, ამ კითხვათა კითხვის, დღევანდელი დღის წესრიგში დაყენებით—ეს საკითხი უკეთეს შემთხვევაში გადაუჭრელი რჩებოდა ძველი ინტერნაციონალის როგორც მემარჯვენე, ისე „ცენტრის" სოციალისტებისთვის, რომლის მიმდევრათ თვლიდნენ თავის თავს მენშევიკები. ოქტომბრის რევოლიუციამ, მისმა სამი წლის განვითარებამ და გავლენამ მსოფლიო პროლეტარიატზე, თავდაყირა დააყენა მეორმოცე წლების საფლავებიდან მკვდრეთით ამდგარ სოციალისტების ტაქტიკური გეგმები. აშკარა შეიქნა, რომ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციამ გააღო კარები დიდი ეპოქის და დასაწყისი მისცა სახელმწიფოთა ახალ ტიპს: შრომის საბჭოთა სოც. რესპუბლიკებისას. ამ ახალი დროის გულის ძგერის გავლენას განიცდის დღეს საქართველოც და თავის ადგილს იჭერს ისიც საბჭოთა რესპუბლიკების რიგებში.

რა ძალებზე შეუძლია დაეყრდნოს საბჭოთა სახელმწიფოს, როგორი შეიძლება იყოს სოციალური ბაზა მისი ძალა-უფლებისა ჩვენში?

კითხვა დგას ჩვენი ერის სოციალური სტრუქტურის, მისი ორგანიზმის შემადგენელ ელემენტების შესახებ

ახალ დროის ეკონომიურ განვითარებით თავის ქონებრივ ნიადაგს მოწყვეტილი ჩვენი თავად აზნაურობა სრულიად გააპარტახა დიდმა რევოლიუციამ, როგორც საბოლოოთ მატერიალურათ, ისე პოლიტიკურათაც და ის წარსულის უფსკრულშია ჩაძირული, არარაობათაა ქცეული.

ხოლო ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების [illegible] გამო, რის გამოც ის ბევრათ წინ წავიდა რუსეთის, არც ეროვნული ბურჟუაზია მოიპოვება ჩვენში ცოტათ თუ ბევრათ ძლიერი, რომელსაც უნარი ჰქონდეს თავის საკუთარი სახელმწიფოებრივ საქმის კეთების. ამაზე უფრო ძლიერი და ოდესღაც მაგრათ ფესვებ გადგმული დიდი ქვეყნების ბურჟუაზიაც კი საშინელი დაშლის პროცესშია ჩათრეული, სიკვდილის მიერ ნაკბენი. მიუხედავათ მენშევიკური კეთილ-განწყობილებისა და წახალისებისა, მან ვერ მოახერხა რაიმე აქტიურ ძალათ ქცეულიყო ერის ცხოვრებაში. მან ვერ შესძლო არა თუ სახელმწიფო საჭე ხელში ჩაეგდება, არამედ თავის რამდენადმე სერიოზული პოლიტიკური პარტიის დაარსებაც, მიუხედავათ მთელი თავის ძალების მობილიზაციისა. ამნაირათ თავის საკადრის მოპირდაპირე კლასის ყოლის მხრით საქართველოს მშრომელი მასები და კერძოთ პროლეტარიატი ისტორიულათ „ულბლონი" გამოდგნენ. ამის გამო მას, რასაკვირველია, არავითარი საბუთი არა აქვს მწუხარებას მისცეს თავი...

არც ჩვენებურ კლერიკალიზმს შეუძლია ითამაშოს რაიმე დამოუკიდებელი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი ზედა ფენები, არისტოკრატია მისი, საკმაოთ სახელ-გატეხილია ხალხის ფართო მასებში და რევოლიუციის მიერ იმდენათ დასუსტებულიც ქონებრივათ, რომ, არა თუ დამოუკიდებლათ, არამედ ორ პირველ კატეგორიებთან შეკრულ კოალიციაშიაც არ ძალუძს რაიმე აქტიური დაბრკოლება შეუქმნას ჩვენ მშრომელ დემოკრატიას, რომელთანაც თვით მისი დაბეჩავებული ნაწილი, სოფლის ღარიბი სამღვდელოება, დაკავშირებულია თავის ბედის თანასწორობით.

დიდ უმრავლესობას ჩვენი ერისას შეადგენს გლეხკაცობა, განსაკუთრებით მისი გამრჯელი ნაწილი. ეს არის 85 პროცენტი ჩვენი გლეხობის, რომელიც უმთავრესი რეზერვუარია ქალაქების საკმაოთ მრავალრიცხოვანი წვრილი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის. ეს არის სოფლის ღარიბი გლეხკაცობა, ბუნებრივი მოკავშირე ჩვენი პარტიის მიერ წარმოდგენილი კლასისა, დაახლოვებული მასთან არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამო, დამონებული შრომის ბედიღბლით. რამოდენიმეთ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიასთან ერთათ ის განიცდის პოლიტიკურ ჰეგემონიას ჩვენი შეგნებული პროლეტარიატისას და შეადგენს ქვედა ფენებს საქართველოს სოციალურ პირამიდისას, იმ გარემოების გამო, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურათ ჩამორჩენილია და მსგავსათ დაწინაურებული ქვეყნებისა მას არ გაუვლია კაპიტალიზმის საკმაოთ ხანგრძლივი ორგანიული მუშაობის ქურაში. ჩვენმა სოფელმა ვერ მოასწრო გამოეყო თავის წიაღიდან ტიპი მაგარი, ასე ვთქვათ, ძალღონიანი მეურნე გლეხის (хозяйственный мужик), რამაც ხელი შეუწყო მისი მშრომელი ნაწილის საზოგადოებრივი წონის გამომჟღავნებას და გადიდებას.

თუ არ შევჩერდებით ბურჟუაზიის სისუსტის გამო ადვილათ ასახსნელ სიცოტავეზე ეგრედ წოდებულ თავისუფალი პროფესიის ჯგუფებისას და იმ ინტელიგენციაზე, რომელიც, როგორც თავის ეკონომიური მდგომარეობით, ისე იდეოლოგიით, მშრომელ მასებთან არის და ემსახურება მათ, ჩვენ დაგვრჩენია შევეხოთ პროლეტარიატს, მცირერიცხოვან —გლეხებთან შედარებით, მაგრამ ყველაზე უფრო მედგრათ შეკავშირებულს ჩვენში და პოლიტიკურათ გამოწვრთნილს, რომელიც მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ წინა რიგში იბრძოდა ძველი რეჟიმისა და კაპიტალის წინააღმდეგ.

ასეთია სქემატიურათ შემადგენლობა ჩვენი ერის და ის სოციალური წრე, რომელშიაც უხდება მუშაობა ჩვენი პარტიას საბჭოთა ძალა-უფლების დასამკვიდრებლათ საქართველოში.

ამნაირათ კითხვა იმის შესახებ, თუ რა ძალებზე უნდა დაეყრდნოს საბჭოთა რეჟიმი ჩვენში თავის აღმშენებლობითი მუშაობის დროს, წყდება იმ მიზნის მიხედვით, რომელსაც ისახავს პარტია. ეს არის შრომის განთავისუფლება მშრომელთა დარაზმვით და მათი ინტერნაციონალურ რევოლიუციონურ ფრონტთან დაკავშირებით. ჩვენი ბუნებრივი ბაზაა პროლეტარიატი და ღარიბი გლეხკაცობა, მშრომელი ინტელიგენციით, რომელთა საბჭოები იკრებენ თავის გავლენის ქვეშ, ეგრედ წოდებულ, ნეიტრალურ წრეებს საზოგადოებისას და, სადაც საჭირო ხდება, ძალით იმორჩილებენ ძველ-ურთიერთობათა დამცველ ურჩ უმნიშვნელო უმცირესობათ.

მენშევიკების ბატონობის დროს დასუსტებულ ჩვენი პარტიულ ძალთა ჩქარი და შეუდრეკელი მობილიზაცია საბჭოების მოსაწყობათ სოფლათ და ქალაქათ—ამ ლოზუნგით უნდა შევეგებოთ დღესვე დიდ სამუშევარს, რომელიც ჩვენ წინ ძევს და ჩვენ გვიცდის...

ნ. კრედო.

საბჭოთა რუსეთში

სახურსათო მუშაობა ციმბირში

მოსკოვი. 6 მარტი. (რადიო) 11 თებერვლიდან 20 მდის დატვირთულია პურით 678 ვაგონი, ხორცით და თევზით 137. ომსკის რკინის გზის რაიონში სურსათით დატვირთული არის 24 სამარშრუტო მატარებელი, რომელთა შორის არის 687 ვაგონი პური და 201 ხორცი. 26 თებერვალს ცენტრში გაიგზავნა პირველი ორი სამარშრუტო მატარებელი. პირველ თებერვლისათვის დამზადებული იყო ციმბირში პური 52 მილიონ ფუთზე მეტი და ხორცი 6 მილიონ ფუთამდე, პირველ აგვისტოდან 9 თებერვლამდის ციმბირიდან გაგზავნილია ცენტრში 18,000 ვაგონი სურსათი, დამზადება კარგად მიდის. თებერვლის 20 დღის განმავლობაში დამზადებულია 2 $^1/_2$ მილიონი ფუთი. მარტსა და აპრილში უგზოობის გამო დანამზადის გათვალისწინება ძნელია: მოსალოდნელია არა უმეტესი 2 მილიონ ფუთისა. მაისში და ივლისში მოსალოდნელია 4 მილიონ ფუთის დამზადება. პირველ თებერვლისათვის ციმბირში იყო პური 20 მილიონი ფუთი, ხორბალი და საკვები 6 მილიონი, ხორცი 1 მილიონამდის.

შეშის სამზადისის ბრწყინვალეთ შესრულება.

პეტროგრადი. 5 მარტი. (რადიო). შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით პეტროგრადის მიდამოებს დავალებული აქვთ გამოზიდონ ტყიდან 20,000 კუბი შეშა. უკვე გამოზიდულია 27,500 კუბი, რაც 10 პროც. აღემატება. შეკვეთილ რაოდენობას. შეკვეთილ რაოდენობაზე აღმატება საერთო ამხანაგურ მუყაითობით აიხსნება.

ურალიპეტროგრადის საშველათ.

პეტროგრადი. 6 მარტი. (რადიო). ურალიდან პეტროგრადში დაბრუნებული სახალხო მეურნეობის საბჭოს წევრი ანოსოვი იტყობინება მუშების მაღალ სულოვნების და პეტროგრადისათვის მათ მიერ დახმარების აღმოჩენის სურვილის შესახებ. კიზელტის ქვა-ნახშირის რაიონის მუშების საერთო კრებაზე დადგენილია გადაეცეს ძმური სალამი პეტროგრადის მელითონეთ და გამოეცხადოს მათ, რომ კიზელტის მაღაროებში მომუშავენი არ დაზოგავენ თავის ძალ-ღონეს, რომ მიაწვდინონ პეტროგრადს ქვა-ნახშირი.

უკრაინაში.

მოსკოვი. (რადიო. ანტანტის აგენტები და თეთრ-რაზმელები სცდილობდნენ უკრაინაში ხელი შეეშალათ წარმოებისათვის. მუშები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მუშაობის გარეშე პირობებს და ქარხნებს ერთი მეორეზე ამუშავებენ. ქერინკაში შეკეთებულია და ამუშავდა კრახმალის ქარხანა.

სათბობ მასალის კრიზისთან ბრძოლა.

მოსკოვი, 6 მარტი. (რადიო). სათბობი მასალის კრიზისის გამო, თებერვლის 16-ს პოდოლის ქარხნებში მუშაობა შეწყდა. იმავე დღეს პოდოლის მექანიკურ ქარხანაში შესდგა მუშათა კრება, სადაც გადასწყვიტეს შეშის დასამზადებლათ გაგზავნონ მოხალისეები. თებერვლის 18-ს დაადგინეს ყველა მუშა წასულიყო შეშის დასახერხავათ და თვითეულ მუშას დაეხერხა საჟენი შეშა. მიუხედავათ ხერხებისა და ნაჯახების უვარგისობისა, სამი დღის განმავლობაში მუშებმა დახერხეს 100 კუბ. საჟენი შეშა. საქარხნო ორგანიზაციებმა საქმეს ენერგიულად გაართვეს თავი. მარტის 1 პოდოლის ქარხნებში მუშაობა განახლდა.

პეტროგრადში.

მოსკოვი. (რადიო). სათბობ მასალის უქონლობის გამო დახურულმა თამბაქოს ფაბრიკამ განაახლა მუშაობა. ფაბრიკა უზრუნველყოფილია ნედლი მასალით, ფაბრიკაში იმუშავებს ორი ათასი მუშა.

წითელი პიტერის მბეჭდავნი.

პეტროგრადი. 7 მარტი. (რადიო). პიტერის მბეჭდავებმა მთელი კვირა დღე იმუშავეს და საჩუქრად გამოუშვეს გაზეთები.

კიდევ ერთი ქარხანა.

მოსკოვი. 8 მარტი. (რადიო) ალექსანდროვკაში კიდევ ერთი დიდი ტყავის ქარხანა დაარსდა. ქარხანა დღეში 1500 ტყავს ამზადებს.

განთავისუფლებულ შრომის დღესასწაული.

მოსკოვი. 8 მარტი. (რადიო). მარტის 6 ტამბოვის მბეჭდავთა კავშირის მუშებმა დიდი ამბით იდღესასწაულეს სტამბების მუშათა ხელში გადასვლის სამი წლის თავი. სადღესასწაულო სიტყვების შემდეგ პატივი სცეს 55 გმირის ხსოვნას. (გამოტოვებულია). დაარიგეს საჩუქრებათ: სამოვრები, ფეხსაცმელები, მანუფაქტურა და სხ. გამოვიდა გაზეთი „მბეჭდავთა წითელი სიტყვა“, სადაც მოთავსებული იყო მუშების წერილები 3 წლის მუშაობის შესახებ.

ნაყოფიერ პროპაგანდის მიზანი.

მოსკოვი, 7 მარტი. (რადიო). ნაყოფიერ პროპაგანდის საშუალებით და გზების გასაშუქებლად მოწვეულ სრულიად რუსეთის თათბირზე ამხ. სოსნოვსკიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ პროპაგანდის მთავარი მიზანი არის შრომის ახალი პროპაგანდის შემუშავება, დაწყებული უბრალი სამეურნეო შეხედულებიდან ახალ ეკონომიურ წყობილების რთულ წარმოდგენამდე. ახალი ცხოვრების ეკონომიურ აღმშენებლობის პროპაგანდის ყველა ორგანოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა მასის ხელახალ აღზრდაში და ახალ ფსიქოლოგიის შემუშავებაში ამხ. სოვუშკინი თავის მოხსენებაში თათბირზე ხაზს უსვამს, რომ ნაყოფიერ პროპაგანდის საფუძველი არის ნაყოფიერი იაჩეიკა, რომელიც უნდა ჩაბმულ იქნას შრომის ორგანიზაციაში. პროლეტარიატის მიერ არა მარტო წარმოების იარაღისა, არამედ თვით წარმოების ბრძოლით მოპოებისკენ უნდა იყოს მიმართული მუშათა მთელი ძალები. მუშათა მასა უნდა გრძნობდეს წარმოების ამაღლებისა და შრომის ფრონტის შექმნის აუცილებლობას. წარმოების მეორე მიზანი არის მუშათა მასის ჩაბმა წარმოებაში შრომის ნაყოფიერების გასავითარებლად და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდისათვის.

ნავთი.

მოსკოვი, 7 მარ. (რადიო). მაიკოპის ნავთის სამრეწველოების მოსამსახურეებმა დიდი თვითშეგნება გამოიჩინეს. ნავთის წესიერად გადმოქაჩვისათვის მათ სამუშაო დღე 9 საათამდის გააგრძელეს. ორი თვის გამუდმებულ დიდი მუშაობის შემდეგ ნავთმა წესიერად დაიწყო დენა.

„სუბოტნიკი“

მოსკოვი. 7 მარტი (რადიო) უკანასკნელ დროს ტაშკენის რკინის გზაზე შაბათ დღეები (სუბოტნიკები) 17 000 მუშამ იმუშავა. მუშების მუშაობა 93.000 საათს უდრის. ენერგიულად მუშაობდნენ აგრეთვე თოვლის ჩამქერის გასაწმენდათ და რკინის გზის ღრანდოვის გასასწორებლათ.

ძმურად.

მოსკოვი. 7 მარტი. (რადიო) დონბასის მუშებმა მოსკოვის მუშების მადლობის ნიშნად სლავიანკის მაღაროებში გამართეს სუბოტნიკი. ამ მუშაობის დროს მოსკოვის და პიტერის მუშების საჭიროებისათვის გაგზავნეს 35 000 ფ და უშვებული ქვა-ნახშირი.

სამუშაო ბოსტნები.

მოსკოვი. 7 მარტი. (რადიო) ეკატერინოდარის პროლეტარიატი შეუდგ ყუბანში თავის ბოსტნების ორგანიზაციას. მუშაობის სახელმძღვანელოთ დანიშნულია სპეციალური, ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშია შედიან მუშები სათემო კომუნხოზის მიწებისა და სატყეო განყოფილებებიდან.

ბამბა იქნება.

მოსკოვი. 7 მარტი. (რადიო) მიმდინარე წელს თურქესტანის ოლქში განზრახულია დაითესოს ბამბით 150 ათასიდან 200 ათას დესეტინამდე. ულარიბეს მცხოვრებთა ცოცხალი საქონლი უზრუნველსაყოფათ ადგილობრივი მებამბეების კომიტეტი ამზადებს 13,500 სამუშაო საქონელს.

ხოლერა ვრანგელის ჯარის ბანაკებში.

სტამბოლი. სტამბოლის მიდამოებში დაბანაკებულ ვრანგელის ჯარის ყველ ნაწილებში მძინვარებს ხოლერა. მოკავშირეთა მთავრობების მიერ მიღებული

საზღვარ-გარეთ

შახტერების საერთაშორისო კონფერენცია.

ლონდონი. ინგლისელ შახტერების პრეზიდენტის რობერტ-სმილლის თავმჯდომარეობით შესდგა ევროპას მასტერების საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობენ: საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, გერმანიის, ავსტრიის, ჰუნგრეთის, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის დელეგატები. კონფერენცია არკვევს ქვა-ნახშირის წარმოების საკითხს ევროპაში. კონფერენციაზე დასმულ საკითხთა შორის შედის ერთი საკითხი: გადაათვალიეროს საზავო ხელშეკრულობის მუხლი რომელიც ეხება გერმანიას ქვანახშირის გადმოზიდვას და ვალდებულებანი, რომელიც იკისრე გერმანიის შახტერებმა.

რეპრესიები ირლანდიის პრესის წინააღმდეგ.

დუბლინი. სამხედრო საბჭომ ერთ წლით დატუსაღება გადაუწყვიტა „რომან ჟურნალ“-ის მთავარ რედაქტორ და 3,000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა აგრეთვე ამავე ჟურნალის გამომცემლები ყალბ ცნობების მოთავსებისა გამო, რომ თითქო სასტიკათ ეპყრობოდნენ დატუსაღებულ სინფეინერებ რომლებიც მოთავსებულნი იყვნენ „პორტო-ბელლოს“ ყაზარმებში.

ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომა.

(27 თებერვალი).

საზეიმო მარშის ხმებზე სახელმწიფო თეატრის დარბაზი ივსებოდა წყებებით მუშების, წითელ-არმიელების და ჩვენი გუშინდელი მტრების, მენშევიკებისგან მოტყუებულ ქართველ მუშებისა და გლეხებისა—ქართველ ლაშქრის ჯარისკაცებისა, რომელნიც დაგვიწრენ დღეს როგორც საპატიო სტუმარნი და თავიანთი დროშებით სცენა დაიკავეს.

ამხ. ეგოროვის სიტყვა

სრულ 7 ს. ამხ. ეგოროვი სხდომას გახსნილად აცხადებს. თავის შესავალ სიტყვაში, რომელიც მრავალჯერ იყო შეწყვეტილი „ურას“ ძახილით და ინტერნაციონალის ხმებით, ამხ. ეგოროვი აღნიშნავს, რომ სამი წლის განმავლობაში რევოლიუციონური ამიერ კავკასია გამოყოფილი იყო წითელ რუსეთიდან და შევიწროებას განიცდიდა რევოლიუციისადმი მტრულად განწყობილ ძალების მიერ. მაგრამ რევოლიუციას აქვს თავისი კანონები. მომაკვდავ კონტრ-რევოლიუციის ცდამ ვერაფერ შედეგს ვერ მიაღწია. პირველად მონობის ჯაჭვი მოიგლიჯა აზერბეიჯანმა, მას მიჰყვა სომხეთი და აი, დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ შავი რეაქციის უკანასკნელი ბურჯის დაცემას; ქართველმა ხალხმა თვალსახვევი მოიხსნა. მშრომელის ჯანსაღმა ინსტიქტმა უკარნახა მას, თუ სადაა ჭეშმარიტება, და იგიც აღსდგა უზურპატორების წინააღმდეგ. თფილისი დაეცა და მასთან ერთად **დაეცა მემამულეთა საქართველო და დაიბადა ახალი, თავისუფალი, წითელი საქართველო.** ეს ჩვენი გამარჯვებაა ამხანაგებო. დღესასწაულობენ და იმარჯვებენ ჩვენი კომუნისტური შრომის იდეალები. ჩვენ ახლა ამხანაგ ქართველ მუშებთან და გლეხებთან ერთად წავალთ წინ, კომუნიზმისა და სოციალისტურ რესპუბლიკათა მსოფლიო ფედერაციისაკენ საბოლოო, ბრძოლის მოედნებზე.

ამხ. ნარიმანოვის სიტყვა

ამხ. ნარიმანოვის გამოსვლამ და მოკლე სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, „ამხანაგებო! თბილისი ის ადგილი იყო სადაც თავს იყრიდა არა მარტო კავკასიის, არამედ საერთო ევროპიული კონტრ რევოლიუცია. იქ ხელოვნურად იქმნებოდნენ და მაგრდებოდენ ყოველგვარი: მთის და დაშნაკელების კომიტეტები „ბრძოლისა“, „ხნისა“ და სხვა ბუდენი ტალახის და ცილისწამებისა, რომელთაც ასაზრდოებდა ოქრო მსოფლიო რეაქციისა, რომელმაც თბილისი მაგარი ძაფებით გადააბა ლონდონს, პარიზსა და სტამბოლს. და აი, კონტრ-რევოლიუციონური თბილისი დაეცა. აღორძინდა თბილისი რევოლიუციონური, მაგრამ ეს არ არის ბოლო კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლისა. ჩვენ შეგვიძლია სული მოვითქვათ მხოლოდ მაშინ, როდესაც რევოლიუციის დროშას ბათუმში აღვმართავთ. მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი მტერი გაჭყლეტილია. და მხოლოდ მაშინ, გაერთიანებულთ და მებრძოლთა ახალ რიგებით გაძლიერებულთ, შეგვეძლება გავსწიოთ იქ, აღმოსავლეთისაკენ, ეხლა კი ჩვენი მიზანია დავეხმაროთ წითელ საქართველოს ყველაფრით, რითაც შეგვიძლია, ყოველგვარი დახმარება საქართველოსადმი,— ეს დღის ლოზუნგია. და ეხლა კი გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა.

წითელი არმიის წარმომადგენლის, ამხ. ორჯონიკიძის გამოსვლა შეხვედრილ იქნა ხმა-მაღალი „ურა“-თი და შრომის ჰიმნის ხმებით, რომელიც ბევრ ხანს არ შეწყვეტილა.

— „საზეიმო, ისტორიაში არ მომხდარ მომენტს განვიცდით ჩვენ, ამხანაგებო—ამბობს ამხ. სერგო. „მომხდარა როდისმე ან სადმე, რომ ტყვეები, გუშინდელი მტერნი შეერთებულიყვნენ თავიანთ „დამამარცხებლებთან“ სოლიდარობის და ძმობის გრძნობის გამოხატვაში გამარჯვებულის ზეიმის—თავიანთი მშობლიურ ქვეყნის დედა-ქალაქის აღების გამო?! მხოლოდ სოციალურ, პროლეტარულ რევოლიუციას შეუძლიან ასეთი მდგომარეობა წარმოშვას. მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ ძლეული იქნება ბურჟუაზიული ცრუმორწმუნოებანი „სახელმწიფოებრივ საზღვრებზე“ და გამოიჭედება ახალი, დიადი იდეა მშრომელთა სოლიდარობისა გარეშე ყოველგვარ ზომისა და საზღვრებისა, მხოლოდ მაშინ და მხოლოდ პროლეტარიატის ქალაქში შეიძლება ქონდეს ადგილი იმას, რის მოწამენი და მონაწილენი ჩვენა ვართ!“ რატომ საქართველო თვითმპყრობელობასთან ბრძოლის მრავალ წლებში თავის რევოლიუციონურ ენერგიას განუყრელად უერთებდა მთელ დანარჩენ რუსეთის ძალას? რატომ ლოზუნგი „გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას“ იყო მისთვის ისე ძვირფასი, როგორც ყოველ რუს რევოლიუციონერ მუშისათვის? და რატომ მხოლოდ ოქტომბერში, როდესაც პროლეტარიატმა მოაბრუნა რევოლიუციის საჭე კაპიტალიზმთან უშუალო ბრძოლის მხრით, საქართველომ ზურგი შეაქცია რევოლიუციას, გასწყვიტა კავშირი რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან? ეს იმიტომ, რომ ქართულ „სოც. დემოკრატებმა“—მენშევიკებმა უღალატეს რევოლიუციას, შესცვალეს სოციალიზმი ნაციონალიზმით, ხალხურ მასსებს სწამლავენ ვიწრო შოვინიზმით და თან და თან ხდებიან კაპიტალისტურ წყობილების დამცველებად, სტოვებენ რა მშრომელებს მემამულეთა და ვაჭრების სახრავ ლუკმად. და აი, შრომის და აქამდე რევოლიუციონური საქართველო, მიმავალი ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ნებითა სოციალიზმის მოღალატეთა. რომელთაც ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს, ისვრის ახალ ლოზუნგს: კაპიტალისტებო ყველა ქვეყნისა, თავი დაიცავით“.

და სამი წლის განმავლობაში ეს ლაქიები გულმოდგინებით, რომლითაც და იმსახურეს მთელი კაპიტალისტურ მსოფლიოს ქება, იცავდნენ თავიანთ ახალ ბატონებს. დაღვრილ იქნა მუშურ-გლეხურ სისხლი, ვინაიდან ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა ოდესღაც მისგან პატივცემულ წინამძღოლთა ღალატს. „და მოუკიდებლობის“ გამოცხადების მომენტიდან დღევანდლამდე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ხდებოდა შეიარაღებული აჯანყებები მმართველთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც აქრობდენ „სახალხო გვარდიის“ საშუალებით, მოკრეფილს მედუქნეებისაგან, ამ კლასისთვის დამახასიათებელ სისასტიკით.

მშრომელთა ცდას ამაოდ არ ჩაუვლია. გამყიდველთა მთავრობისათვის დასამარხავ ხმაურით გაისმა 11 თებერვალს გლეხთა აჯანყება ლორსა და ბორჩალოში, რომელთაც მოითხოვეს საბჭოთა ხელისუფლების შემოღება. ჟორდანიას მთავრობის უარი ეცნო აჯანყებულთა უფლება და, ჯარის არ გაეგზავნა „დასაწყნარებლად“ იყო „დემოკრატიულ“ საქართველოს დასასრულის დასაწყისი. ჩვენ გადავეცით მენშევიკებს, რომ აჯანყებულთა მიმართ ეგზეკუციას არ დაუშვებთ და წინადადება მივეცით, მათთვის ხელი არ ეხლოთ, ამასთანავე ვაცნობეთ, რომ არა გვაქვს არავითარი განზრახვები საქართველოს წინააღმდეგ, მარგამ აქ შევეჯახეთ გაბოროტების და სიძულვილის ყრუ კედელს. მენშევიკებმა მოისურვეს საკითხის იარაღით გადაჭრა, აცნობეს რა რადიოთი მთელ მსოფლიოს ჩვენი ვითომდა გამოლაშქრებაზე 38 დივიზიების რაოდენობით! მენშევიკები ირწმუნებოდნენ, რომ ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი ადგა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, რომ თფილისი—ეს მეორე ვერდენია, რომლის სიმაგრეებთან უკვე დაამსხვრა ბოლშევიკების ჯარები, რომ ჩვენ გავიქეცით და გაქცევის შედეგად დღეს ხვალ იქნება დაღუპვა ბოლშევიკურ მთავრობათა ჯერ აზერბეიჯანის, შემდეგ კ მთელი რუსეთისა.

რა გამოვიდა? ყოველგვარი ცდა ტალახიანი, საკვირველი ცილისწამებათ გზით აღენთოთ მშრომელთა პატრიოტიზმი—თვით ცილისმწამებელთა წინააღმდეგ იქნა მიმართული. ქართველმ ხალხმა ჯანსაღი ინსტიქტით შეიგნ საქმის ვითარება, შეიგნო, რომ ბოლშევიკებს მოაქვთ მისთვის ნამდვილი განთავისუფლება, რომ მხოლოდ მათი მოსვლის შემდეგ გლეხები და მუშები მიიღებენ მიწას და ქარხნებს და იქ შეიქნებიან მათი ერთად-ერთი პატრონნი.

სამი დღის შემდეგ ჩვენი შესვლის საქართველოს მიწა-წყალზე, ჩვენს მხარეზე იწყეს გადმოსვლა ჩვენ წინააღმდეგ გამოყვანილ გლეხებმა და მუშებმ და მენშევიკები იძულებული იყვნ თბილისი დაეტოვებინათ. **დიახ, ჩვენმა ძმებმა, ქართველ მუშებმა და გლეხებმა იცოდნენ, რომ ჩვენ ხელს არ ვახლებთ მათ დამოუკიდებლობას** მათთვის მოგვაქვს მხოლოდ ჩვენი გამოცდილება მუშურ-გლეხურ აღმშენებლობისა, ჩვენი ჩარევა —ეს ის მუშური ძმური დახმარებაა, რომელსაც ჩვენგან მოითხოვენ და რის ღირსიც არის საქართველო, ძვირფასი ყოველ აზერბეიჯანელ და რუსულ მუშისათვის თავის წარსულ რევოლიუციონურ დამსახურებისათვის. ეხლა კი აქ ჩვენთან მყოფ ამხანაგ ქართველებთან ერთად გაუგზავნოთ წყევლა-კრულვა გაქცეულ საქართველოს მთავრობას, რომელიც იპოვის თავის საფლავს შავ ზღვაში, რომელიც იქცა საფლავად დენიკინისა, ვრანგელისა და მრავალ სხვა შავ „დემოკრატებისათვის“. ამხ. სერგოს სიტყვა იწვევს საერთო ტაშის ცემას.

„წითელ დროშის“ ორდენი.

რიგს გარეშე განცხადებით გამოდის ამხ. ნ. ნარიმანოვი: „დღეს ბაქოს რევოლიუციონური კომიტეტმა თავის [illegible]

სასწრაფო ზომები, რათა ეს სენი ქალაქს არ მოედოს.

გერმანია და საბჭოთა რუსეთი.

პარიჟი. „ექსცელსიორ“ ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კლარა ცეტკინა გამოვიდა პროტესტით იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ დამოუკიდებელი სოციალისტები საბჭოთა რუსეთის მიმართ. შეეხო რა კომერციულ გაცვლა გამოცვლას გერმანიასა და საბჭოთა რუსეთ შორის, კლარა ცეტკინმა განაცხადა, საბჭოთა წარმომადგენელის ბერლინში ვიქტორ კოპის წყალობით გერმანიაში იყო შეკვეთილი 300 მილ. მარკის დამზადება. ეს შეკვეთა ვერ ასრულდა, რადგანაც გერმანიამ ნება არ დართო სპეციალისტების იქ ყოფნაზე. შემდეგ კლარა ცეტკინამ აღფრთოვანებით მოიხსენია საბჭოთა რეჟიმი რუსეთში და გამოსთქვა სურვილი გერმანიაში იმავე რეჟიმის დამყარებისა.

ინდოეთი დგება.

ლონდონი. ალახაბადიდან (ინდოეთი) „დეილი ტელეგრაფ“-ი იტყობინება რომ უთხას ოლქში აჯანყებამ იჩინა თავი. მდგომარეობა ძლიერ სერიოზულია. ფიზოზადში დანგრეულია 60 სახლი. დიუკნოვში ბრიტანეთის პოლიციის დიდი ლაშქარია თავმოყრილი, რომელიც გაემგზავრა აჯანყებულ ადგილებში. უკვე 10,000-ამდე აჯანყებულები ითვლება; მათი რიცხვი სწრაფად იზრდება. პოლიცია ჯარის მხრივ დახმარებას თხოულობს, მაგრამ ბრიტანეთის გუბერნატორს ეს ზომა ადრეულად მიაჩნია.

რუსეთის საფრთხე.

პარიჟი. „პასლედნიე ნოვოსტი“ იუწყება, რომ პილსუდსკიმ, რომელიც სდგას პარიზში მყოფ პოლონეთის მისიის სათავეში, განაცხადა: „სანამ არსებობს წითელი ლაშქარი, საფრანგეთი. და პოლონეთი ვერ იქნებიან მშვიდად. ბრიანისა და პილსუდსკის შეხვედრისას უმთავრესად ირჩეოდა ის საკითხი, რომელსაც უწოდებენ „რუსეთის საფრთხეს“, პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი სთვლის შესაძლებლათ რომ საბჭოთა რუსეთი გაილაშქრებს არა მარტო პოლონეთის წინააღმდეგ, არამედ გერმანიის წინააღმდეგ.

ოსმალეთის ბედი.

პარიჟი. საფრანგეთი და იტალია სცდილობენ გამოვიდნენ შუამავლად ბერძნებსა და ოსმალებს შორის. რომის კაბინეტმა წინადადებით მიმართა პარიზს, რომელიც ემყარება იმას, რომ გადაიყვანოს თავის მხარეზე ოსმალეთის დელეგაციის ზომიერი ელემენტები. იტალია წინადადებას იძლევა, რომ გაძლიერებულ იქმნას უმაღლესი ავტორიტეტი სულთანისა სმირნაში, უნდა განისაზღვროს ეკონომიურ გავლენის სფერო იმ ფარგლებში, რომელიც თავისუფალია ოსმალეთის ოკუპაციისაგან და გადაყვანილ იქმნენ ბერძნები სტამბოლიდან და სრუტეებიდან.

ცნობილი გუსტავ ერვე თავის გაზეთ „პობედაში“ სწერს: „მოკავშირენი ვერ გამოვიდნენ კარგი მოაზროვნენი, თორემ მათ უნდა მიეღოთ ქემალის ყველა პირობები. ოსმალეთს სურს შეინარჩუნოს თავის დამოუკიდებლობა, მას სურს აგრეთვე, რომ მისი იყოს სრუტეები და დარჩეს მისი უფლებები მესოპოტამიასა, სირიასა და პალესტინაში. ეს პირობები უნდა მიღებულ იქმნას საერთო ზავის სასარგებლოდ და უმთავრესად კი ინგლისის და საფრანგეთის ინტერესებისათვის. ომისაგან მოქანცულმა ანტანტამ უნდა შესწიროს თავის თავმოყვარეობა და მთელი თავის ყურადღება მიაქციოს გერმანიას. ოსმალეთს უნდა დაუბრუნდეს არა მარტო ფრაკია, ადრიანოპოლი, სრუტეები, სტამბოლი, და სმირნა, არამედ მესოპოტამია და სირიაც.

„აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში ბოლშევიზმს“.

პარიჟი. გაზეთი „ვიკტუარი“ სწერს: „ბოლშევიზმი, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი, არის ახალი ფაქტორი, რომელსაც უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიონ ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა.

კომუნისტები ხადარაჯოზე.

რიგა. კომუნისტებმა აიძულეს ინგლისის დროშის ქვეშ მიმავალ გემს „ფრანცდალს“—დაეტოვებია კილის არხი, რადგანაც გემზე იყო დანციგისთვის დამზადებული სამხედრო მასალები.

რუსეთ-გერმანიის სავაჭრო დამოკიდებულება.

ბერლინი. რუსეთ გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულებაში შეტანილია შემდეგი პუნქტი, რომელიც აწესრიგებს სავაჭრო დამოკიდებულებას ბერლინსა და მოსკოვს შორის სავაჭრო დამოკიდებულებას, თუ ყველა ანგარიშის გასწორება ფულით მოხდება ლონდონის მონაწილეობით. გერმანული პრესსა აღნიშნავს ამგვარ პუნქტის დაუშვებლობას, რადგან ამ შემთხვევაში მთელი რუსეთ-გერმანიის ვაჭრობა დამოკიდებული იქნება ინგლისისაგან. პრესსა მოუწოდებს გერმანელ ხალხს და მრეწველებს პროტესტი გამოუცხადონ ამისთანა წინააღმდეგობას.

იაპონიაში

ტოკიო. მოსალოდნელია მთელი იაპონიის სოციალისტების კონფერენცია. ტოკიოში კონფერენციაზე 30 დელეგატებმა შეიყარა თავი. პოლიციამ დაარსა განსაკუთრებული ზედამხედველობა და ზვერვა დელეგატებისა.

ვიდრე კაპიტალი არ მოისპობა, ეს შეუძლებელია.

მარტის 3-ს პარიზიდან იტყობინებიან: ამერიკის სენატის დახურულ სხდომაზე საგარეო პოლიტიკის შესახებ 7 საათის მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, პირდაპირი მოლაპარაკება გაიმართოს ინგლისთან და იაპონიასთან შეიარაღების შემცირების თაობაზე.

რევოლიუციონური მოძრაობა მცირე აზიაში

მოსკოვი. 5 მარტი. (რადიო) სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით არაბეთის მაჰმადიანთა შორის მღელვარება იზრდება. გეჯიხის რკინის გზა გააფუჭეს 3 ალაგას და ხიდი ააფეთქეს.

იაპონიის დანაწილება.

მოსკოვი. (რადიო) იაპონიის სოციალისტურ მოძრაობის ორგანოს სიტყვით, აუცილებელია იაპონიის იმპერიის დანაწილება, რომელიც ჩქარდება იაპონიის პოლიტიკის წყალობით ციმბირსა, კორეიასა და ჩინეთში. იაპონელების ინტერესები ჩრდილო ჩინეთში გამოიწვევენ სამხრეთ ჩინეთის შეერთებას საბჭოთა რუსეთთან. გაზეთი აღნიშნავს იაპონელ მასის გამოფხიზლებას და ამბობს, რომ მუშები უსათუოდ უნდა ემზადონ გადამწყვეტ მომენტისათვის. მუშები უნდა ეყრდნობოდნენ მტკიცე წესრიგს და მძლავრ ორგანიზაციებს.

ბერლინი 3 მარტი. (რადიო). „როტე ფანე“ თავის მოწინავეში, რომელსაც უძღვნის ლონდონის კონფერენციას, სწერს, რომ გერმანიის პროლეტარიატისთვის სულ ერთია, ანტანტის ბურჟუაზია უდგას მას სათავეში თუ გერმანიისა. გაზეთი მოუწოდებს გერმანიის პროლეტარიატს აქტიურ რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ. მხოლოდ კომუნისტურ გერმანიას შეუძლია რეალური დახმარება აღმოუჩინოს ევროპის მის აღდგენაში, რადგან მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტები არ არიან დაინტერესებული ანტანტის სახელმწიფოთა მუშების მოქიშპეობასა და მათი კეთილდღეობის დაქვეითებაში.

უძლური განზრახვა.

ოდესა. 3 მარტი. (რადიო). სტამბოლიდან იუწყებიან, რომ იქ ვრანგელის თავმჯდომარეობით მუშაობს კომისია, რომლის მიზანიც არის მიიღოს ზომები ვრანგელის ჯარის დაშლის წინააღმდეგ. ვრანგელი აწარმოებს მოლაპარაკებას სერბიის მთავრობასთან, რომ მისცენ მას ნება მისი ჯარის კოსოვის ველზე დაბანაკებისა, სადაც იგი იქნება გამოყენებული ყოველგვარ სამუშაო მიზნებისათვის.

სამოქალაქო ომი იტალიაში.

მოსკოვი. 6 მარტი. (რადიო). ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან: მდგომარეობა ფლორენციაში ძლიერ სერიოზულია. სოციალისტურ ჯგუფის მდივანი თეთრგვარდიელებმა დახვრიტეს თავის ბინაზე. ფლორენციის მუშებმა რკინის გზელებთან ერთად გამოაცხადეს საერთო გაფიცვა. რკინისგზელთა გაფიცვა გაგრძელდა აგრეთვე პიზაში, ლივორნოში და გენუაში. პროფესიონალური კავშირები აწარმოებენ მოლაპარაკებას საერთო გაფიცვების მოწყობის შესახებ მთელ იტალიაში. თეთრგვარდიელ და ჯარის შეტაკების დროს მოკლულ იქმნა 10, დაიჭრა 400, მოედანზე, ტაძრის წინ დადგმულია ზარბაზნები.

მუშების დახვრეტა ჩეხო-სლოვაკიაში.

მოსკოვი. 6 მარტი. (რადიო). რიგიდან მოსული ცნობით, ჩეხო სლოვაკეთა რესპუბლიკაში, რომლის მმართველიც არიან გამყიდველი სოციალისტები, ქალაქ კრუმპასში ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს მუშებს, რომლებიც იყვნენ შეკრებილი ქარხნის სამართლველოს წინ და მოითხოვდნენ ფქვილს. მოკლულია ქალი და მუშა, დაჭრილია 16 კაცი. პროტესტის ნიშნად მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და გაემართნენ სამართველოს კანცელარიაში, სადაც ორი კაცი იქმნა მოკლული.

გაფიცვა ვარშავაში.

რიგა. ვარშავაში და პოლონეთის ზოგიერთ სხვა ქალაქებში დაიწყო რკინის გზელთა ნაწილობრივი გაფიცვა, რომელიც გამოცხადებულია რკინის—გზელთა გაფიცვის კომიტეტის მიერ. გაფიცული არიან დეპოსა და რკინისგზის სახელოსნოების მუშები, პროფ. კავ. ც. ა. კ. მოწოდებით მიმართავს მუშებს დაუჭირონ მხარი გაფიცულებს. მოსალოდნელია პოლონეთში საერთო გაფიცვები.

საიდუმლო დიპლომატია.

რიგა პოლონეთის მემარცხენეთა პრესა აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთ-საფრანგეთის საიდუმლო მოლაპარაკების გამო პარიზში. გაზეთი „ნაპშუტ სწერს:“ ჩვენ არა გვსურს არავითარი მოკავშირე, ვინც უნდა იყოს იგი, სეიმის ნებადაურთველად. ჩვენ ნებას არ მივცემთ, პოლონეთმა აწარმოვოს საიდუმლო დიპლომატია. როგორც სჩანს, უნდა იყოს რაღაც საიდუმლო ხელშეკრულება პოლონეთსა და რუმინიას შორის, რომლის შესახებაც პოლონეთის მოქალაქეებმა არაფერი იციან. პოლონეთის მოქალაქეებს აქვთ უფლება იცოდნენ, როგორი დავალება მისცა პოლონეთმა რუმინიას და აქვს აგრეთვე უფლება იცოდეს, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს იოფეზე საპეგას განცხადება, თუ ამის შესახებ საბჭოთა დიპლომატიისთვის თავის დროზე არაფერი შეუტყობინებიათ.

მსოფლიო კრიზისი.

სტოკჰოლმი. უმუშევართა რიცხვი შვეციაში 35,000 კაცამდეა. ამას გარდა წარმოების შემცირების გამო 40000 მუშა მუშაობს სამ დღეს კვირაში.

— ჰელსინგფორსში შიმშილს განიცდის 2,000 მუშაზე მეტი, რომლებმაც მიმართეს მთავრობას დახმარებისათვის.

— ლონდონის მწარმოებლებმა შეუმცირეს ხელფასი სამხრეთ უელსის მიებზში მომუშავეთ 30 %-ით. ამან მუშათა შორის გამოიწვია მღელვარება, რაიც მიმართულია მწარმოებელთა წინააღმდეგ.

იტალიის პროფკავშირების კონგრესი

მოსკოვი 8 მარტი. (რადიო). იტალიის პროფკავშირთა კონგრესმა ლივორნოში საგრძნობი უმეტესობით დაადგინა მოხდეს პროფკავშირთა რეორგანიზაცია. იტალიის პროფკავშირთა ორგანიზაცია გამოვა ამსტერდამის პროფკავშირთა ყვითელ ინტერნაციონალიდან. კომუნისტები მოითხოვენ საერთაშორისო პროფკავშირთა წითელ საბჭოსთან აუცილებელ შეერთებას მოსკოვში.

გაფიცვა ვარშავაში.

მოსკოვი. 8 მარტი. (რადიო). ვარშავაში ტრამვაის საგზო სადგურის, მომარაგების დაწესებულებების, ლითონის გადამდნობელ ქარხნების მოსამსახურეთა და მუშათა გაფიცვა გრძელდება. აგრეთვე გაფიცულია სტამბის მუშების უმრავლესობა.

გერმანიის პროლეტარიატის ხმა.

მოსკოვი. 8 მარტი. (რადიო) ლონდონის კონფერენციის იმ გადაწყვეტილებათა გამო, რომელიც გერმანიას ახალი მძიმე მოთხოვნილებას უყენებს, გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც მოუწოდებს გერმანიის პროლეტარიატს გამართოს დემონსტრაცია ლოზუნგით: ძირს უცხოელთა და შინაურთა ექსპლოატატორების უღელი, გაუმარჯოს კომუნისტურ მთავრობას, გაუმარჯოს მუშათა კლასის უფლებას, გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთთან კავშირს.

რევოლიუციონური მოძრაობა იტალიაში.

მოსკოვი. 8 მარტი. (რადიო) კაბრიაში გლეხთა აჯანყებამ იჩინა თავი. საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების გამო სამხრეთ იტალია ჩრდილოეთ იტალიას მოწყვეტილია. ტოსკანაში მთავრობის ჯარებთან მთელი რიგი შეტაკებები მოხდა. ბევრია მსხვერპლი. მოელიან მთელ იტალიაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.

ანგორა და კონსტანტინოპოლი.

ბერლინი. ოსმალეთისა და დიდი ნაციონალური ყრილობის დელეგატების მიერ მიღწეულია შეთანხმება შემდეგ კითხვებში: 1) გადაწყვეტილია იცნონ ოსმალეთის უფლებანი დარდანელსა და კონსტანტინოპოლზე, აგრეთვე დარდანელი უნდა დარჩეს მის კონტროლის ქვეშ თუ შეერთებული შტატებიც მიიღებენ მონაწილეობას საკონტროლო კომისიაში, 2) გადაწყვეტილია დაჟინებით მოითხოვონ, რათა ოსმალეთის სუვერენული უფლებები იქმნას ცნობილი სმირნასა ურფასა და აინტაპში 3 ბულგარეთი მიიღებს ნავთსადგურს ეგეის ზღვაზე. 4) ოსმალეთის უმცირესობას ჩამოშორებულ ოლქებში უნდა მიეცეს უფლებრივი გარანტიები. 5) მოკავშირეებმა უნდა აღმოუჩინონ ოსმალეთს ფინანსიური დახმარება. 6) უნდა მოხდეს რეორგანიზაცია ოსმალეთის მმართველობისა.

კომუნისტები ბულგარეთში.

სოფია. „მუშათა მოამბე“ იუწყება, რომ ბულგარეთის კომ. პარტიის თაოსნობით ბულგარეთის ყველა ქალაქებში ეწყობა საგიტაციო კრებები შეუკავშირებელ მუშების კომ. პარტიის პროფ. კავშირებში შეყვანის მიზნით, ამ საგიტაციო მუშაობამ კარგ შედეგს მიაღწია, კომუნისტურმა პროფესიონალურმა მოძრაობამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ, კომუნისტურმა პროფ. კავ. შესძლო მიემხრო 5.000 ახალი წევრი.

ქემალისტები და რუსეთის ბოლშევიზმი.

სტამბოლი. ქემალისტთა ოფიციოზი აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლიუციის მგზავსი არ მომხდარა არც ერთ საუკუნესა და არც ერთ სახელმწიფოში. ეს რევოლიუცია განირჩევა თავისი ცეცხლოვან ელვარებით, რომელიც დაბადებულია გამოფხიზლებულ ხალხის სულში. მან სასურველად მოაგვარა მიწის საკითხი. სამწუხაროთ ოსმალეთში უკანასკნელ ხანამდი არ იყო არამც თუ რევოლიუციონურ, არამედ ეროვნული ლიტერატურაც კი. მიწის საკითხს ისეთი გამწვავებული სახე არა აქვს მიღებული, რომ ამ საკითხით შეეძლებოდეს ძლიერი ბოლშევიკური რევოლიუციის მოხდენა, ამიტომაც ანატოლია რუსეთის კომუნიზმს ყველაფერში ვერ მიბაძავს, მაგრამ ამ კომუნიზმის იდეებით კი უნდა იხელმძღვანელოს და უნდა მიიღოს ის, როგორც უმაღლესი და თავისი იდეალი.

აღმოსავლეთის ქალთა ემანსიპაცია.

სტამბოლი. ანგორაში შესდგა ოსმალეთის ქალთა ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებს აღმოსავლეთის ქალთა ემანსიპაციისათვის.

საქართველოს მშრომელო, დღეს შენ თავისუფალი ხარ! დაამტკიცე, რომ ღირსი იყავ ამის!

ქრონიკა

◆ **შევჩენკოს სახსოვრათ.** პარასკევს, 11 მარტს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესდგება საღამო ტარას შევჩენკოს ხსოვნის აღსანიშნავათ. წარმოდგენის წინ წაკითხული იქნება რეფერატი უკრაინის დიდ მგოსნის ცხოვრების და სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ.

— 9 მარტიდან სახალხო სახლში განახლდება სახალხო ოპერის წარმოდგენები. ბილეთების მესამედი მიეცემა უფასოდ პროფ. კავშირებს და წითელ არმიელებს.

◆ **მომარაგება თფილისისათვის.** მარტის 5-ს შესდგა გორევკომის, პროდომის ნარკომპროდის შეერთებული კრება თფილისში სასურსათო საქმის მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

◆ **მარაგი 25 თებერვლამდის.** პროდკომის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თებერვლის 25-ს ქალაქის განგეობის პროდოტდელის განკარგულებაში იყო 2882 ფუთი ფქვილი. ქალაქში სასურსათო საკითხი ძალიან გამწვავებული იყო. ხორბლის უქონლობით გამოწვეულ მდგომარეობას კიდევ ის ართულებდა, რომ არ იყო ტრანსპორტი. ტრანსპორტის ერთი ნაწილი უვარგისი გამოდგა და ერთი ნაწილიც მენშევიკებმა თან გაიყოლეს. მიღებულ იქმნა სასწრაფო ზომები ხორბლეულის-

---

ფო სხდომაზე დაადგინა: „იმ დამსახურებისათვის, რომელიც მიუძღვის რევოლიუციის წინაშე ჩვენს ძვირფასს ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, დასაჩუქრებულ იქნას იგი „წითელ დროშის“ ორდენით.

ინტერნაციონალის მუსიკის და შეუწყვეტელ „ურას“ ქვეშ ამხ. სულთანოვი ჰკიდებს ამხ. სერგოს ორდენს,—ნიშანს მისი განსაკუთრებითი დამსახურებისა რევოლიუციის წინაშე. ორდენის ჩაბარების შემდეგ ამხ. სერგო თხოულობს სიტყვას: „არა ჩემს თავს, არამედ მთლად და განუყრელად ჩვენს დიდებულს, მძლავრს და ძლევამოსილ წითელ ლაშქარს ვაკუთნებ მიცემულ საჩუქარს. მისმა შრომამ და გმირულმა საქმეებმა შექმნეს ის, რაც ჩვენ გვაქვს“.

ა. კ. პ. ც. კ. სახელით გამოდის ამხ. გუსეინოვი, რომელმაც მიულოცა ბაქოს პროლეტარიატს საბჭოთა საქართველოს დაბადება.

ოსმალეთის კ. პ. ც. კ. სახელით ისმაილოვი ესალმება დღევანდელ დღეს, როგორც დამაახლოვებელს ოსმალეთის მშრომელთა განთავისუფლებისა. დღისას, ანტანტის ქუსლის ქვეშ რომ იტანჯებიან, იმ ანტანტის, რომელიც ახრჩობს ყოველგვარ ცდას თავისუფალ და ახალ ცხოვრებისას. წითელი თფილისი—ეს საშინელებაა ანტანტისათვის. მშრომელთა მილიონები ელოდებიან დახმარებას კონსტანტინოპოლის მოძალადეთა ძალაუფლების ჩამოსაგდებათ და წითელი დროშის ასამართავად.

ტყვე ქართველთა გამოსვლა.

შემდეგ იწყება სამხედრო ტყვეთა წარმომადგენლების გამოსვლა.

ამხ. ელიაშვილი. ჩვენ გაგვგზავნეს წითელ არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო ბრძოლა მუშებსა და გლეხებთან და გადმოვედით რევოლიუციის მხარეზე. ჩვენ გვაშინებდენ ბოლშევიკებით, რომელნიც თითქოს ემუქრებოდენ საქართველოს მთლიანობას, მაგრამ ჩვენ აქ დავრწმუნდით მენშევიკების სიცრუეში. აქ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაა, და არავინ არავის ეხება. აქ ჩვენ მუშებმა გაგვიყვეს, რაც ებადათ, ჩვენში ამხანაგები დაინახეს და არა მტრები. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საქართველოს, გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთის „აზერბეიჯანის“ სომხეთის და საქართველოს კავშირს.

ამხ. ყიფიანი. ამხანაგებო! აქ ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ტყვეები ვართ. არა! ჩვენ ახლა ტყვეები კი არა წითელი მეომრები ვართ მუშურ-გლეხურ საქართველოსთვის. ჩვენ შევალთ თბილისში შრომის დიადი წითელ დროშით წითელ საქართველოს გასანთავისუფლებლად და შესაქმნელად.

ამხ. გიგინეიშვილი. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის დახმარებით. ბევრმა ჩვენთაგანმა, რომელიც მენშევიკების ტყუილებით შექმნილ შთაბეჭდილების ქვეშ წამოვიდა, წინდაწინ განიწირეს თავი დასაღუპავად, მაგრამ მოვედით რა აქ, გავიგეთ, რომ მხოლოდ აქიდან შეიძლება ხსნა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს.

განსაკუთრებით თვალსაჩინო მომენტად დარჩება ამხ გუსეინოვის თხოვნა ყრილობისადმი ნება დაერთოთ მისთვის ბაქოს პროლეტარიატის სახელით მისალმებოდა ამხ. გიგინეიშვილის სახით მშრომელ საქართველოს და ძმური გადაკოცნით განემტკიცებინა კავშირი პროლეტარულ საბჭოთა რესპუბლიკებისა წითელ საქართველოსთან.

ყრილობის სამხიარულო ძახილზე და ინტერნაციონალის ხმებზე ამხ. გუსეინოვი და გიგინეიშვილი ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან.

ორატორთა სია ამოწურულია. წაკითხულ იქნა ყრილობის მიმართვა საქართველოს მშრომელთადმი, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული.

საბჭოთა მთავრობა — მშრომელების მთავრობაა. გვერდით ამოდექით მას.

ზის დასამზადებლათ და პურის განაწილების საქმის მოსაწყობად.

◆ **ხორბალი ბაქოდან.** თებერვლის 26 დაიწყო ბაქოდან ხორბლის მოსვლა პირველ დღეებში მოვიდა 40 ვაგონი რამაც მუშათა კლასის მდგომარეობა, რომელიც პირდაპირ შიმშილის წინ იდგა, ძალიან გააუმჯობესა დაიწყო სულზე გირვანქის დარიგება. ხორბალი როგორც კი ჩამოვიდა ულუფა გაადიდეს და დაიწყეს $^3/_4$ გირვანქის მიცემა, შემდეგ 1 გირ. ამ ჟამად მუშებს და მოსამსახურეებს პური უფასოდ ეძლევათ. კოოპერატივებმაც მიიღეს მონაწილეობა ხორბლეულობის მომარაგებაში. ამ ახლო მომავალში განზრახულია პურის ულუფის გადიდება მუშებსა და მოსამსახურეებისთვის სულზე 1 $^1/_2$ გირ. და მცხოვრებლებს 1 გირვანქა.

◆ **ჩუმათ საქონლის დაკვლა.** თფილისის მილიციის უფროსის ბრძანებით № 4 ამხ. ჩხეიძემ წინადადებით მიმართა რაიონის მილიციის უფროსებს: მიიღონ ზომები, რომ საქონელი არ იყოს ჩუმათ დაკლული, დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

◆ **სისხლის საქმის გამოძიება,** საქართველოს ს. ს. რ. იუსტიციის კომისრის ამხანაგებმა ბრძანება გასცა, რომ სისხლის საქმის ყველა გამოძიება და პატიმრები გადაგზავნილ იქნან წინეთ არსებულ მომრიგებელ მოსამართლეთა და სასამართლოს გამომძიებლების განკარგულებაში წინათ არსებულ წესით. მილიციას არა აქვს უფლება ციხეში ჩასვას დაპატიმრებულნი, რომელთა საქმე გადაცემულია გამომძიებელსა და მომრიგებელ მოსამართლეზე, ვინაიდან დაპატიმრების უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს. დაპატიმრებულნი ციხეში არ მიიღებიან თუ მათ დაპატიმრებაზე არ ექნება სასამართლოს განაჩენი.

◆ **წარმოებისთვის თვალყურის დევნა.** ვინაიდგან ძმ. ვახნიანცების ქარხანაში მუშაობა ფერხდება, ქალაქის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა: ქარხანაში დანიშნოს პოლიტიკურ კომისრად ამხ. ავალოვი.

◆ **ქალაქის გასუფთავება.** ქალაქის მედიკო სანიტარული განყოფილების მთავარ რწმუნებულმა ქალაქის უსუფთაობის გამო დაადგინა: მიღებულ იქნას ზომები, რომ ქალაქი 7 დღის განმავლობაში გაწმენდილ იქნას. ამ დადგენილების განსახორციელებლად გამოთხოვნილია ექვსი მილიონი მანეთი. ქალაქის გასუფთავებას მარტის 6 დან შეუდგებიან. წინადადება მიცემულია, რომ ქალაქის გაწმენდაში მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ნაწილებმა. ქალაქის სასწრაფო გასაწმენდათ გადიდებულ იქნება ქალაქის გამასუფთავებელთა შტატი. ეზოებისა და მათ ახლო მდებარე ქუჩების გაწმენდა ევალებათ სახლის პატრონებს და მდგმურებს.

◆ **რკინის გზებზე.** 7 მარტს რკინის გზებზე გაიცა შემდეგი განკარგულება სადგურებში კერძო პირთა სახელზე მოსული სურსათი მიეცეს მიმღებთ დაუბრკოლებლივ.

— რკინის გზით მიმოსვლა სადგ. სკრამდე, ე. ი. თბილისიდან 78 ვერსამდე სრულებით აღდგენილია. ტელეგრაფის ხაზის აღდგენათ მუშაობა სწარმოებს სკრას იქითაც.

◆ **სურსათის თავისუფალი შემოტანა.** სურსათის სახ. კომისარმა საქართველოს რევკომს მიჰმართა თხოვნით გასცეს ბრძანება ნარკომპრომის დადგენილების დასადასტურებლად, რომ თბილისში ყოველგვარი სურსათი დაუბრკოლებლივ შემოტანილ იქნას. ასეთი განკარგულება გამოწვეულია სურვილით რომ რაც შეიძლება მეტი სურსათი შემოვიდეს თბილისში.

◆ **თათბირის დადგენილება.** გაერთიანებულმა თათბირმა სასურსათო საკითხის განხილვის შემდეგ, პურის გამოცხობის, განმანაწილებელ პუნქტის რიცხვის სასურსათო კომისარიატის ტრანსპორტის და აგრეთვე რიგების მოსპობის შესახებ დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს ქალაქის სასურსათო კომიტეტს, რათა დღეში 6000 ფუთამდის პური ცხვებოდეს, 2) ყველა კერძო, როგორც საზოგადო დაწესებულებათა ფურნეები, თფილისში აღრიცხვაზე იქმნას აღებული და გამოყენებული. პირველ რიგში გამოყენებულ იქმნენ გაუქმებული ფურნეები, 3) ყველა თფილისში არსებული წისქვილები იქმნან გამოყენებული და აღრიცხვაზე აღებული, 4) წინადადება მიეცეს ქალაქის სასურსათო კომიტეტს, რათა საჩქაროთ იქმნას მიღებული ზომები, განმანაწილებელ პუნქტების გასამრავლებლათ, რითაც შესაძლებელი გახდება რიგების მოსპობა, 5) ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ რევკომს, ვაგონების დასაცლელად და განმანაწილებელ პუნქტების ხორბლის მისაწოდებლად საჭიროა 6 საბარგო ავტომობილი, 6) დაევალოს ქალაქის სასურსათო კომიტეტს, საჭიროების და მიხედვით, შემოიღოს პრემიალური სისტემა მცხოვრებთათვის რათა ამით განაყოფიერებულ იქმნას შრომის წარმოება, 7) კომუნალურ განყოფილებას დაევალოს სასწრაფოთ შეაკეთოს ხაზაროვის ფურნე ავლაბარში და შემდეგშიც შეკეთებულ იქმნას ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ ნაჩვენები ფურნეები. 8) რიგების მოსპობის და პურის რაციონალურად დარიგებისათვის და პურის მიღების დროს ბოროტმოქმედების ასაცილებლათ განმანაწილებელ პუნქტებში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული კომისია. ამხ. ლოლობერიძის, მიხაილოვის და ხიდირბეგიშვილის შემადგენლობით. სარაიონო, საუბნო და საბინაო კომიტეტების მოწყობის შემდეგ განმანაწილებელ პუნქტებთან პურის მიღების ნება ექნება მხოლოდ ზემოაღნიშნულ კომიტეტების წარმომადგენელთ. 9) ფურნეების სისწორით განაწილებისათვის მოხდეს შეთანხმება სამხედრო სარდლობასთან, რათა იმ სამხედრო ნაწილებმა, რომელთაც ფურნეები ესაჭიროებათ, მიმართონ ასეთების მისაღებათ მხოლოდ ქალაქის სასურსათო კომიტეტს. 10) წინადადება მიეცეს გორპროდკომს შეთანხმდეს კომუნალურ განყოფილებასთან, რათა ქალაქის ტრამვაი გამოყენებულ იქმნას საცხობებიდან პურის გადასაზიდავათ განმანაწილებელ პუნქტებში.

◆ **მოწაფეთა უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით.** გორევკომის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები, რათა დაჩქარებით მოეწყოს მოწაფეთათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება.

◆ **შინაგან საქმეთა კომისარიატში.** შინაგან საქმეთა, ფოსტის და ტელეგრაფის სახალხო კომისრათ დაინიშნა ამხ. ბ. მ. კვირკელია, რომელიც 7 მარტიდან შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატის საქმეებში ამხ. ბ. მ. კვირკელიას მოადგილეთ დაინიშნა ამხ. მ. გ. კამალაური. შინაგან საქმეთა კომისარიატი მოთავსებულია ყოფილ შინაგან საქ. სამინ. შენობაში.

◆ დღეს, მარტის 9 ს სომხ. მწერალთა პროფკავშირის სასოფლო შენობაში (ყოფილი სომხ. კლუბი პლეხანოვის ქუჩ. № 83) დანიშნული არის ამხანაგობის პირველი საღამო. სიტყვას წარმოსთქვამს ამხანაგის თავმჯდომარე ოვანეს თუმანიანცი 2) მომღერალთა სპირ. მელიქიანცის ხელმძღვანელობით 3) წარმოდგენა „ოსკან პეტროვიჩი ჯოჯოხეთში“ 4) დივერტისმენტი—შესვლა უფასო არის.—დასაწყისი საღამოს. 7 საათზე.

კომუნიზმის შენება ადვილი საქმე არ არის. ყველამ მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი! ყველამ გავიღოთ ჩვენი შრომის წვლილი. ჩვენ ახლა ჩვენს საკუთარ საქმეს ვაკეთებთ!

მუშათა ცხოვრება

გამომგონთა კავშირში. კვირას ქალაქის ყოფილ საბჭოს სხდომის დარბაზში შესდგა პირველი საორგანიზაციო კრება გამომგონთა კავშირისა, რომელზედაც დადგენილ იქმნა: 1) შეერთდენ კავშირში სახელწოდებით „გამომგონთა კავშირი“ 2) არჩეულ იქმნას დროებითი საორგანიზაციო კომიტეტი. კავშირის მიზანია დაეხმაროს გამომგონთ და დაიცვას მათი უფლებანი მათ მიერ გამოგონებათა რეალიზაციის დროს.

— —

ოქმი

ხელზედ მოსამსახურეთა და მზარეულთა შეერთებული კრებისა.

კრებას დაესწრო 260 წევრი თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ამხ. ხუბუკელაშვილი და მდივნად დ. მახარაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1) ყოფილი გამგეობის ფინანსიური ანგარიშები.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) გამგეობის არჩევნები.

ანგარიშების და ფინანსების შესახებ კრებამ ვერავითარ დასკვნას ვერ მიაღწია, რადგანაც ძველი სალარო და ანგარიშები გატაცებულია ძველი გამგეობისაგან და სანამ არ დაბრუნდებიან, ანგარიშის მიცემა საზოგადო კრებისათვის შეუძლებელია.

მზარეულობის სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ნოემბერში შემოსულა საწევრო გადასახადი 13,257 მანეთი, დეკემბერში 20,035 მანეთი. იანვარში 18 815 მანეთი, თებერვალში 19285 მანეთი; სულ 71,392 მანეთი.

დანახარჯი სეკტემბრის 50 374 მანეთი, ნაღდი დარჩა 21,018 მან.

კოოპერატიულ ბანკში ინახება 55,000 მან., მოსკოვის ბანკში 22.000 მანეთი.

სულ 80.000 მანეთი და 21,018 მანეთი, ნაღდი ფული არის 101,018 მანეთი.

შემდეგ მოხდა გამგეობის არჩევნები. გავიდნენ ერთხმად: უნგიაძე მირიან და ხუბუკელაშვილი ეფრემ. ალავიძე ალექსანდრემ მიიღო 144 ხმა, პატარიძე ლუკამ 120 ხმა, დავლანიძე ვლოდიამ 133 ხმა, იმნაძე ილარიონმა 145 ხმა, ხმელიძე ერმილომ 126 ხმა, რაზმაძე პავლემ 140 ხმა, რაფიევმა—141 ხმა.

კანდიდატებათ იქმნენ არჩეულნი: ჰელიძე, შმულევიჩი და ზახაროვი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: მახარაძე დავით, ბაკურია ვიქტორ და ქანიშვილი პანტელეიმონ.

კანდიდატებათ: ქებაძე და მურუსიძე.

ამასთან თბილისის ხელზედ მოსამსახურეთა და მზარეულთა შეერთებულ კრებამ დაადგინა მიესალმოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა მთავრობას.

კრება დიდ სიხარულს გამოსთქვამს მშრომელთა ახალი გამარჯვების გამო კრება აცხადებს, რომ ის თავისი ძალღონით ხელს შეუწყობს საბჭოთა საქართველოს განმტკიცებას და აყვავებას.

კრება ზიზღს უცხადებს გაქცეულ ყოფილ მენშევიკურ მთავრობას.

გაუმარჯოს საბჭოთა თავისუფალ საქართველოს.

გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს.

სამუდამო ხსოვნა მენშევიკებისაგან დახვრეტილ კომუნისტებს.

სალამი წითელ ჯარს.

თავმჯდომარე **ხუბუკელაშვილი.**
მდივანი **მახარაძე.**

— —

პროფესიონალურ ცხოვრებიდან.

პროფ. კავშირების აღსადგენათ დროებითმა კომიტეტმა ცირკულიარული წინადადებით მიმართა ყველა კავშირის გამგეობას, რომ გაუგზავნონ მას: გამგეობის, დელეგატთა და საერთო კრებების ოქმები არა უგვიანეს ორი დღისა კრებების შემდეგ. აგრეთვე აცნობონ კომიტეტს საერთო დელეგატთა კრებების დღე ორი დღით ადრე მათი შეკრებისა. ამ წინადადების თვალყურის დევნება ევალება პროფ. კავშირების სეკრეტარიატს.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკებს საქართველოსას, რუსეთისას, აზერბეიჯანისას და სომხეთისას. გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს.

— ელექტრიკოსების კავშირში: ელექტრიკოსების პროფ. კავშირმა გაუგზავნა მუშათა ყველა კომიტეტებს შემდეგი ცირკულიარი: აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელ დღეებში ელექტრონის ზოგიერთ სადგურებში მუშები სამუშაოთ არ მიდიან და დაუდევრათ ექცევიან თვის მოვალეობას, საჭიროთ დაინახა მიიღოს სასტიკი ზომები წინააღმდეგ მუშათა მოუსვლელობისა სამუშაოთ, რის გამოც ფერხდება მუშაობა მრავალ სადგურებისა. სამუშაოზე მოუსვლელობას, თუ საპატიო მიზეზი არ იქნება, მოყვება პირველათ გაფრთხილება და შემდეგ სამსახურიდგან დათხოვნა უკომპენსაციოთ.

— ელექტრიკოსების პროფ. კავშირმა დაადგინა: დაავალოს ყველა კინომატოგრაფების პატრონებს თეატრების შემოსავლიდგან უპირველეს ყოვლისა მისცენ ჯამაგირები მოსამსახურეებს 1 მარტამდე.

— საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირში: კავშირის გამგეობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: საკრედიტო დაწესებულებათა პროფ. კავშირი, რომელმაც დღიდან თვისი დაარსებისა თვის დროშაზე წააწერა მაღალი ლოზუნგი კლასთა შორის ბრძოლისა, განვითარება მშრომელთა შორის კლასიური თვითცნობიერებისა და დაცვა მშრომელთა ინტერესებისა, ულრმესი კმაყოფილებით ესალმება საქართველოში მთავრობის გადასვლას მუშათა და გლეხთა ხელში კომუნისტურ პარტიის მეთაურობით, რომელიც ერთად-ერთი მფარველია მუშათა გლეხებისა. კავშირის გამგეობა ყოველ ძალღონით ეცდება დაეხმაროს მთავრობას.

— ხელოვნების მუშათა შორის ხელოვნების მუშათა საზოგადო კრებამ 2 მარტს ამხ. ელიავასი, როზენფაბრის და კურულაშვილის მოხსენების შემდეგ დაადგინა. მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე ხელოვნების მუშათა საქმის შესახებ საბჭოთა წესწყობილებაში, ფიცსა ვდებთ დავაყენოთ ჩვენი მუშაობა საჭირო სიმაღლეზე, მივცეთ ჩვენი ძალ-ღონე და ნიჭი და უნარი პროლეტარულ მასების განვითარებას. თეატრი მუდამ ტაძარი იყო ხელოვნებისა, ეხლა კი ნამდვილი ტაძარი იქნება ხელოვნებისა, ვინაიდან იგი ხელმისაწვდომი იქნება არა მარტო შეძლებულ კლასთათვის, არამედ პროლეტარიატისათვისაც. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეუძლიან გასწმინდოს თეატრის ხელოვნება ყოველგვარ სიბინძურისაგან და გააძევოს იქ პლოატატორები—ანტრეპრენიორები სცენიდან მხოლოდ თავისუფალი ხელოვნება ხელოვნებისთვის, მხოლოდ პროლეტარიატის მასისათვის გახდება კაცობრიობის კეთილშობილ სკოლათ. გაუმარჯოს ხელოვნების ტაძარს, განთავისუფლებულ თეატრს და მის ქურუმებს—მსახიობებს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის წინამძღოლთ ლენინს და [redacted] წინ, პროლეტარულ კლასიურ ხელოვნების ამომავალ ბრწყინვალე ვარსკვლავისაკენ.

— —

თფილისის არსენალის, საარტილერიო საწყობის და საინჟინერო მუშა მოსამსახურეთა მრავალ რიცხოვანმა კრებამ 5 მარტს, დღის 12 საათზე მოისმინა რა მოხსენება ამხ. პ. შუშანიასი, ცაგარელის და ოვანესიანის, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: უცხადებს სრულ ნდობას საქართ. მუშურ გლეხურ რევოლიუციონურ მთავრობას რომელიც ჭეშმარიტათ დამცველია ყველა მშრომელ გაძვალტყავებულის ბურჟუაზიის შეუბრალებელი ექსპლოატაციისაგან.

კრებაზე დამსწრენი, უკლებლათ ყველა, მზათ არიან დაიცვან რევოლიუციონური წესრიგი და საშუალებას არ მისცენ კონტრ-რევოლიუციას და ბურჟუაზიას ავანტიურის დაწყების და არევ დარევის შექმნისა.

სარედაქციო კოლეგია

განცხადება
თბილისის ქალაქის მუშურ-გლეხურ მილიციის უფროსისა.

„6“ მარტს 1921 წელს ევალება სახლის პატრონებს, პასუხისმგებელ გამგეებს სახლებისას, ბინის დამქირავებელთ, სასტუმროების პატრონებს და ყველა ქვემდებარე პირთ, სასტიკ თვალყურის დევნებით მოაწყონ ჩაწერა და ამოწერა სახლის დავთრებში ჩამოსულ და გასულ პირთა შესახებ, იმ წესით, როგორიც არსებობდა დღემდი. დამრღვევნი დაისჯებიან სამხედრო დროის კანონების მთელი სიმკაცრით.

რაიონის მილიციის უფროსებს ევალებათ ამის გატარება ცხოვრებაში.

მილიციის უფროსი **ჩხეიძე.**

განცხადებანი

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს“ შენობაში
(რუსთაველის პრ. № 25. ღიაა 9-დან—3 საათამდის)

ოთხშაბათს, 9 მარტს, საღამოს 5 საათზე დანიშნული
ს. კ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე 4-ხე რაიონის
წევრთა საერთო კრება
ოლღას ქუჩა, № 29.
მეოთხე რაიონის მდივანი **გუბელი.**

საქართველოს რესპუბლიკის ექიმ-ვეტერინართა
პროფესიონალურ კავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 10 მარტს, ნაშუადღევის ხუთ საათზე.
შესდგება საზოგადო კრება
ექიმ ვეტერინართა, ფერშალთა და ყველა მუშაკთა სავეტერინარო ასპარეზზე სავეტერინარო სამმართველოს ბინაზედ, კობის ქუჩა, სახლი № 9.

მე, იოსებ ჯულაყიძემ, სალდათის ბაზარში, 6 მარტს
დავკარგე
დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის საწევრო ბილეთი, უფასო ბილეთი რკინის გზებზე მოგზაურობისა და პურის ბარათი სამი სულისა, რომელი საბუთები დღეის რიცხვიდან ითვლება გაუქმებულათ.
იოსებ ჯულაყიძე.

გაზ. „კომუნისტი“-ს
მიღება [illegible] ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11)

ტირაჟი—5000
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4
ნ.-დ. ს. ც.